საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1087

2017 წლის 1 ივნისი

ქ. თბილისი

ცაგერის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდასასოფლო და საუბნო გზების, სანიაღვრე არხებისა და მდინარეთა კალაპოტების ნაპირსამაგრების აღდგენითი სამუშაოების განხორციელების მიზნით, ცაგერის მუნიციპალიტეტი 3 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 9310 (ცხრა ათას სამას ათი) $მ^3$ ღორღი და 1690 (ერთი ათას ექვსას ოთხმოცდაათი) $მ^3$ საყორე ქვა შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. ოყურეშის მიმდებარე ტერიტორია – 9310 $მ^3$ ღორღი:

N	X	Y
1	310748	4714844
2	310758	4714858
3	310795	4714830
4	310807	4714803
5	310788	4714788
S = 0.18 ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. ჭალისთავის მიმდებარე ტერიტორია – 1690 $მ^3$ საყორე ქვა:

N	X	Y
1	315194	4721396
2	315284	4721254
3	315096	4721097
4	315014	4721249
S = 4.01 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ცაგერის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2015 (ორი ათას თხუთმეტი) ლარის გადახდა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. ცაგერის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**